მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა - ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება.

February 4

2019

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შპს „პლანინგ კონსალტინგ გრუპი“

PLANNING CONSULTING GROUP

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მ/რ IV, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ს.კ 01.17.07.024.031) არსებულ მიწის ნაკვეთზე (№024/031) მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მ/რ IV, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ს.კ 01.17.07.024.031) არსებულ მიწის ნაკვეთზე (№024/031) მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტორმა: **გიორგი როსტიაშვილმა**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე
47-ე მუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა № განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

- **პროექტის აღწერილობა**

პროექტის მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების დაცვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მ/რ IV, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ს.კ 01.17.07.024.031) არსებულ მიწის ნაკვეთზე (№024/031). ტერიტორიის ფართობი შეადგენს 2484 კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მართკუთხა ფორმის ნაკვეთს, რომლის ზედაპირიც დახრილი ფრომისაა. არსებული მდგომარეობით ტერიტორიაზე არ არსებობს ხე-ნარგავები.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა 18 სართულიანია, შესაბამისად შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე გადის მაღლივი შენობის კატეგორიაში და ბოლო დაკავებული იატაკი სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან მდებარეობს 37 მეტრზე მაღლა.
საპროექტო შენობის -2 და -1 სართულებზე განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, პირველ მიწისპირა სართულზე განთავსებულია კომერციული ფართობები, მეორე და მესამე სართულზე მოეწყობა საოფისე დანიშნულების სივრცეები, მე-4-მე-16 სართულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები, ხოლო სახურავზე მოეწყობა ტექნიკური სათავსები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი საცხოვრებელი ერთეულების მინიმალური ფართობი შეადგენს 48 კვ.მ-ს, მაქსიმალური 113.3 კვ.მ-ს, თითოეული ბინა მოიცავს მინიმუმ ერთ 14 კვ.მ-ზე მეტი ფართობის მქონე საცხოვრებელ ოთახს, ოთახის მინიმლაური სიგანე შეადგენს 2.90 მეტრს, ხოლო სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.90 მეტრს. საპროექტო შენობის მე-4 სართულიდან მე-13 სართულის ჩათვლით, თითოეულ სართულზე განთავსდება 6 საცხოვრებელი ერთეული, ხოლო მე-14, მე-15 და მე-16 სართულებზე 4 საცხოვრებელი ერთეული.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნული **(-2.50=554.55 მეტრი),** შენობის სიმაღლე „მიწის დონის ნიშნულიდან“ შეადგენს 54 მეტრს, ხოლო სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **53.85 მეტრზე.**

საპროექტო შენობის გასასვლელ საშუალებად გამოიყენება 2 კვამლის საკონტროლო სისტემით აღჭურვილი გზა-კიბე, ხოლო ვერტიკალურ გადასაადგილებელ საშუალებად 2 სახანძრო სამშველო დანაყოფისთვის განკუთვნილი ლიფტი.

შენობის ფასადები შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით (გამოყენებული იქნება ფაქტურიანი ლესვის ტიპი) და შეიღებება საფასადე საღებავით. ფასადების კედლები ნაწილობრივ მოპირკეთდება აგურის ფილებით და ხელოვნურად დაჟანგებული მეტალის

ფირფიტებით. ღიობებში ჩაისმება შავი ფერის მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, ხოლო აივნებზე მოეწყობა მინის მოაჯირები.

საპროექტო შენობის ძირითად სტრუქტურულ სისტემას წარმაოდგენს გაძლიერებული ბეტონის სვეტებისა და კოჭებისგან შემდგარი კარკასი, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილის მასალად ასევე გამოიყენება გაძლიერებული ბეტონი.

შენობისთვის გამოყენებულია ბრტყელი, მრავალშრიანი კონსტრუქციის გადახურვა, რომელიც შედგება:

- გაძლიერებული ბეტონის ფილა
- ორთქლიზოლაცია
- პემზა ქანობისთვის
- მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- ორი ფენა ჰიდროიზოლაცია
- ექსტრუდირებული პოლისტიროლი
- გეოტექსტილი
- წვრლიფრაქციანი კენჭის ფენა
- პლასტმასის ბადის არმირებული მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- ორი ფენა ჰიდროიზოლაცია
- დამცავი ფენა

საპროექტო შენობა სიმაღლის, დაკავებულობის ფართობის და სტრუქტურული ელემენტების ცეცხლმედეგობის მიხედვით შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება **I-A** კონსტრუქციის ტიპს.

- **ძირითადი ნაწილი**

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას,დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2),** სავაჭრო **(სვ),** საქმიანი **(სქ)** და საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -5.60 და -2.85 ნიშნულებზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი), განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -**18,6** (ავტოსადგომი გარაჟები) წესების **1004 ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს -5.60 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომი გარაჟისთვის **42** დაკმავებელს, ხოლო -2.85 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომი გარაჟისთვის **41** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, -2.85 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომი **(სწ-2)** მის ზემოთ მდებარე სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის დაკავებულობისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომი ადგილის სიგანე შეესაბამება მოთხოვნილ მინიმუმს 2,5 მეტრის, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს წესებით განსაზღვრულ მინიმუმს და შეადგენს მინიმუმ 5.5 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, განსაზღრულია ცალმხრივი მოძრაობა მინიმუმ 3,5 მეტრი სიგანის გზით, ავტოსადგომს შესასვლელ/გასასვლელად ემსახურება ერთი საავტომობილო პანდუსი, რომელიც განთავსებულია „1-2“ ღერძებს შორის პანდუსის სიგანე შეადგენს 3,9 მეტრს და, როგორც აღინიშნა უზრუნველყოფს ცალმხრივი შესასვლელ/გასასასვლელიან საავტომობილო მისადგომს, რაც აკმაყოფილებს წესების **406.9.4.7 ქვეთავის** ავტოსადგომთან მისადგომის მოთხოვნებს, ასევე -2.85 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომი გარაჟიდან „ა“ ღერძთან მდებარე პანდუსის მეშვეობით განხორციელებულია კავშირი -5.60 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომთან. პანდუსების მაქსიმლაური ქანობი შეადგენს 18% და აკმაყოფილებს წესების **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია წესების **406.9.4.3 ქვეთავით** განსაზღვრული 6 მეტრიანი გასავლელი, რომელიც თავისმხრივ მოიცავს 3.5 მეტრიან გზას.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების სართულები საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდიანრე, წესების **406.6.2 ქვეთავის** მიხედვით აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით.

2. სავაჭრო ჯგუფის **(სვ)** დაკავებულობა (საცალო და საბითუმო მაღაზიები +/-0.00 ნიშნულზე) წესების **309.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებსა და ნაგებობებს ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.

საპროექტო დოკუმნეტაციის მიხედვით **სვ** ჯგუფის დაკავებულობას მოიცავს შენობის პირველი, მიწისპირა სართული +/-0,00 ნიშნულზე, სადაც განთავსებულია ორი დამოუკიდებელი სავაჭრო ფართობი.

სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**2,8** (სავაჭრო-კომერციული, მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკების ფართობები), წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- სავაჭრო ფართობი №1 – **84** დამკავებელი.
- სავაჭრო ფართობი №2 – **25** დამკავებელი.

საერთო ჯამში, პირველ მიწისპირა სართულზე **სვ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთა შეადგენს **109** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სავაჭრო ჯგუფის **(სვ)** დაკავებულობა, მის ქვემო მდებარე სასაწყობო **(სწ-2)** ჯგუფის და ზედა სართულებზე მდებარე საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე ფართობები +4.15 და +7.30 ნიშნულზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **55** დამკავებელს თითო სართულზე(ჯამში 110 დამკავებელი)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფის **(სქ)** დაკავებულობა, მის ქვემოთ მდებარე სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის და ზედა სართულებზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2,** წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია (+10.45; +13.60; +16.75; +19.90; +23.05; +26.20; +29.35; +32.50; +35.65; +38.80; +41.95; +45.10 და +48.25 ნიშნულებზე) განთავსებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2,90 მეტრი), წესების **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2,90 მეტრი) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 49 კვ.მ), ყველა ბინაში გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი არანაკლებ 14 კვ.მ. ფართობის ოთახი, ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია წესების მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი), **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად

თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რაც მე-4 სართულიდან მე-13-ის ჩათვლით შეადგენს **27** დამკავებელს თითოეულ სართულზე, ხოლო მე-14-მე-15 და მე-16 სართულებისთვის შეადგენს **20** დამკავებელს თითოეულ სართულზე. საერთო ჯამში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობაში არსებული საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობის დტვირთვა შეადგენს **330** დამკავებელს

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის სტრუქტურა (გაძლიერებულ მონოლითურ ფილაზე მოწყობილი ბრტყელი გადახურვა) უნდა აკმაყოფილებდეს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **3 საათს**, ხოლო სახურავის და იატაკის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა*

აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-A)** გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

საპროექტო შენობა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება მაღლივი შენობის კატეგორიას, რაც გულისხმობს, რომ სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ნიშნული აღემატება 23 მეტრს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო შენობა გადის მაღლივი შენობის რიგით მეორე კატეგორიაში, მისი ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 37 მეტრზე მაღლა სახანძრო სამაშველო სამსახურის მანქანის მისადგომიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **IA** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე და სართულიანობა არის შეუზღუდავი, თითოეული სართულის დასაშვები ფართობი არსებული დაკავებულობებისთვის (**სწ-2, სვ, სქ და სც-2**) არის შეუზღუდავი.

საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის დონის ზემოთ **17 სართული** და (მიწისქვეშა ერთი სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **54.00 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან -2,50 = 554.44 მეტრი),** ხოლო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 53.85 მეტრზე.

წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები ფართობი შეუზღუდავია თუმცა საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობის ფართობი თითოეული დაკავებულობისათვის შემდგენაირია:

- **-5,60** ნიშნულზე განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი- **779.27 კვ.მ.**
- **-2,85** ნიშნულზე განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი- **759 კვ.მ.**
- მიწისპირა სართულზე (+/-**0.00**) განთავსებულია **სვ** ჯგუფის დაკავებულობა - **448 კვ.მ.**
- მე-2 დ ამე-3 სართულზე **(+4.15 და +7.30 ნიშნული)** განთავსებულია **სქ** ჯგუფის დაკავებულობა - **508 კვ.მ** (თითო სართულზე)
- მე-4-მე-13 სართულებზე **(+10.45 _+38.80 ნიშნულები)** განთავსებულია საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2 - 508 კვ.მ** (თითო სართულზე).
- მე-14, მე-15 და მე-16 სართულებზე **(+41.95 _+48.25 ნიშნულები)** განთავსებულია საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2 - 372 კვ.მ** (თითო სართულზე).

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მოცემული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 ცხრილის** მოთხოვნებს.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს*

განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შიგა გასასვლელის გზა-კიბეები მიწისპირა სართულზე უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელ გზა-კარებს და საზოგადოებრივ სივრცეს შემდეგნაირად:

- საპროექტო შენობის „3-4“ და „ა-ბ“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე გრძელდება წესების **1027 ქვეთავის** 1 გამონაკლის მიხედვით მოწყობილი გზა-დერეფნით და შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
- საპროექტო შენობის „5-6“ და „ა-ბ“ღერძებს შორის შიგა გასასვლელის გზა-კიბე გრძელდება წესების **1023 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნით და უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
- საპროექტო შენობის „6-6‘“ და „ა-ბ“ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე გრძელდება წესების **1023 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნით და უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ, -5.60 და -2.85 ნიშნულებზე არსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს **(სწ-2),** დაკავებულობის დატვირთვიდან **(42 და 41 დამკავებელი)** და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით.

პირველ მიწისპირა სართულზე **(0.00 ნიშნული)** განთავსებულ სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობებს ინდივიდუალურად ემსახურება გასასვლელის გზა-კარები, კერძოდ

- სავაჭრო ფართობი №1 – **84 დამკავებელი - 2** გასასვლელის გზა-კარი.
- სავაჭრო ფართობი №2 – **25 დამკავებელი - 1** გასასვლელის გზა-კარი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით +/-0,00 ნიშნულზე განთავსებული **სვ** ჯგუფის დაკავებულობის გასასვლელები აკმაყოფილებს წესების **2021.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასა და განლაგებასთან დაკავშირებით.

მე-2 - მე-16 სართულებისთვის გასასვლელ საშუალებებად განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, როგორც უკვე აღინიშნა, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ 2 საათს და აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შიგა-გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა-გასასვლელის გზა კიბეების დაშორებულობასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელბის კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით.

შიგა გასასვლელის გზა კიბეები ერთმანეთისგან დაშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით. ორივე შიგა გასასვლელის გზა კიბე აკამყოფილებს წესების **403.5.4** და **909.20.5 ქვეთავების** მოთხოვნებს კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით და მოიცავს კვამლის მექანიკური კონტროლის მქონე და განაივებად ვესტიბიულებს.

წესების **903 ქვეთავის** მიხედვით შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი. წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია 75 მეტრი **სც და სვ ჯგუფის** დაკავებულობებისთვის, 90 მეტრი **სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის და 120 მეტრი **სწ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობისთვის, რაც პროექტში დაცულია.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს , ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელები გრძელდება წესების **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0.9 და 1.1 მეტრი)** მეტი სიგანის გზა-კიბეები **(მინ. 1.14 მეტრი)** და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებეს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 და 1023 ქვეთავების** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საცხოვრებელი სართულების დერეფნებში **1018.1 ცხრილის** შესაბამისად დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმზე მეტი - **2 სთ)**. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2** ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(3,8).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1,2 მ)** მეტი სიგანის დერეფანი, მინ.**1,5 მეტრი.**

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.85 მეტრს.**

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ, საქმიან და სავაჭრო ფართობებზე) რაოდენობა (**1021 ქვეთავის** მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008 ქვეთავის**, დაკავებულობის დატვირთვის (**1004 ქვეთავი)** და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის **(5,1მმ)** მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას.ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

6. მისაწვდომობის შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა ასევე მე-**11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებში **(სწ-2)** ავტოსადგომების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე **(37)** უზრუნველყოფილია **2** მისაწვდომი ავტოსადგომი, რაც აკმაყოფილებს წესების **1106.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომობა პირველ მიწისპირა სართულზე უზრუნველყოფილია გარე პანდუსის და მისაწვდომი სვლაგეზის მიხედვით ასევე, წესები **1109 ქვეთავის** მიხედვით სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები.

საპროექტო შენობის ზედა სართულებზე, სადაც განთავსებულია **სქ** და **სც-2 ჯგუფის** დაკავებულობები მისაწვდომობა უზურნველყოფილია შშმ პირებისთვის განკუთვნილი ლიფტის მეშვეობით, რომელიც აკმაყოფილებს წესების **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ლიფტების კაბინის ზომებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ლიფტები განეკუთვნება სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის გამოსაყენებელ ლიფტებს და დაგეგმარებულია მექანიკური განიავების მქონე ტამბურით, რომელიც უშუალო კავშირშია ერთ შიგა-გასდასვლელის გზა-კიბესთან.

შენობაში განთავსებული ლიფტები მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აკმაყოფილებს წესების მე-17 თავით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს, აღნიშნული ლიფტები უნდა მოეწყოს და აღიჭურვოს წესების **1701.2 ქვეთავში** მითითებული სტანდარტების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-17 თავით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია **1107.6.2.1.3 ქვეთავის** მიხედვით.

მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და

შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.

„1-6“, „6-1“ და „დ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი **9** მეტრზე მეტია წესების **602 ცხრილის** მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (**I-A**) გამომდინარე არ საჭიროებს გარე კედლების წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას.ასევე,აღნიშნულ ფასადზე წესების **705.8 ცხრილის** მიხედვით კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი შეუზღუდავია.

„ა-დ“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი **3.3-3.4 მეტრია** და წესების **602 ცხრილის** მიხედვით, საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (**I-A**) გამომდინარე საჭიროებს გარე კედლებისთვის 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხის ქონას, რაც უზრუნველყოფილია კედლის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის კედლები (მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე).

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1,5სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.
შენობის გადახურვის ტიპი ბტყელი, მრავალშრიანი მინიმალური ქანობით 3 %.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ბრტყელი, მრავალშრიანი სახურავის კონსტრუქცია შედგება:

- გაძლიერებული ბეტონის ფილა
- ორთქლიზოლაცია
- პემზა ქანობისთვის
- მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- ორი ფენა ჰიდროიზოლაცია
- ექსტრუდირებული პოლისტიროლი
- გეოტექსტილი
- წვრლიფრაქციანი კენჭის ფენა
- პლასტმასის ბადის არმირებული მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- ორი ფენა ჰიდროიზოლაცია
- დამცავი ფენა

აღნიშნული სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს(ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია**1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM D 3909 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გადახურვის კონსტრუქციის და სახურავის ბურულის მასალის წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 საათს პასუხისმგებელია მასალის მომწოდებელი და შენობის შემსრულებელი(ამშენებელი) მხარე, მასალის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატების მეშვეობით.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია წესების **1009.16 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული შიგა გასასვლელის გზა-კიბის მეშვეობით.

სახურავი ბოლოვდება **705.11.1 ქვეთავის** მიხედვით მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით მიუხედავად იმისა, რომ **705.11 ქვეპუნქტის მე-3** გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
პროექტში წარმოდგენილია ოთხი შერეული დაკავებულობა **სწ-2**, **სვ, სქ** და **სც-2** ჯგუფების დაკავებულობების სახით.

სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -5.60 და -2.85 ნიშნულებზე) **სვ** ჯგუფის დაკავებულობა (სავაჭრო ფართობები 0.00 ნიშნულზე), საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე ფართობები +4.15 და +7.30 ნიშნულებზე) და **სც-2** (საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები +10,45_+48,25 ნიშნულებზე) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს.
კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა(თარაზული ანაწყობის სტრუქტურა) და ბეტონის ბლოკის კედლები.

სც-2 (საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები +4,15_+48,25 ნიშნულებზე) საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია, მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელბითა და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ლიფტის შახტი შემოზღუდულია მინიმუ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713 ქვეთავის** და **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, წესების **911** ქვეთავით განსაზღვრული ხანძრის მართის ცენტრი მდებარეობს მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) და აკმაყოფილებს წესების **911.1.2 ქვეთავის** მოთხოვნებს გამიჯვნასთან დაკავშირებით. ხანძრის მართვის ცენტრი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს წესების **911 ქვეთავის** ყველა მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, წესების **913 ქვეთავით** განსაზღვრული სახანძრო ტუმბოების ოთახი აკამყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს სახანძრო ტუმბოების ოთახების დაცვასთან დაკავშირებით.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა (გამოყენებულია მთელ შენობაში)

სახანძრო მილდგარების სისტემა (განსაზღვრულია ყველა დაკავებულობისთვის)

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში)

კვამლის საკონტროლო სისტემები (კიბის უჯრედები და ლიფტები აღიჭურვება კვამლის მექანიკური კონტროლის სისტემით, ასევე ჰაერის მექანიკური განიავების სისტემებით)

ხელის ცეცხლმაქრები (ყველა დაკავებულობებში)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემა დაყენებულია მთელ შენობაში წესების **403.3, 903.2.1.1 და 903.2.8 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების **903.3.1.1** და **903.3.5.2 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც.

შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების **403.4.3** და **905.3 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელ შენობაში გათვალისწინებულია **I კლასის** სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი წესების **905.3.1-ის ქვეთავის** მოთხოვნებს.
წესების **905.4.1 ქვეთავის** გამონაკლისის შესაბამისად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების დგარები და გვერდითი განშტოებები, რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულად დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, შესაძლებელია არ იყოს დაცული ცეცხლმედეგი კედლებით, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსასშხეფი სისტემით.
მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია კიბის უჯრედის ნაწილში, დამატებით კი სავაჭრო და სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობებში რაც აკმაყოფილებს წესების **905.4 ქვეთავის** მოთხოვნებს სახელოს მისაერთებლების მდებარეობასთან დაკავშირებით.

წესების **403.4.1 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე საპროექტო შენობაში უნდა დაყენდეს წესების **907.2.13.1ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული კვამლაღმომჩენი სისტემები, ასევე **403.4.4 ქვეთავით** მოთხოვნილი და წესების **907.5.2.2 ქვეთავით** განსაზღვრული საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-9 თავის **907.2.9, 907.2.11.2 და 907.5.2.3.4-ე ქვეთავების** შესაბმისად **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში, ყველა საცხოვრებელ ერთეულში დაყენებულია სახანძრო განგაშის, ვიზუალური განგაშის შეტყობინების და კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები. ასევე, სახანძრო განგაშის სისტემებით უზრუნველყოფილია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **(სწ-2),** საოფისე ფართობები **(სქ)** და სავაჭრო **(სვ)** ჯგუფის დაკავებულობები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მითითებული კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს წესების **907.2.13** და **907.2.14 ქვეთავების** ყველა მოთხოვნას, ასევე **907.2** და **102.3 ქვეთავების** მოთხოვნებს სისტემის მოწყობის სტანდარტთან დაკავშირებით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან და საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე კვამლის საკონტროლო სისტემები უზრუნველყოფილია შენობის ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწილებში:

1. **კიბის უჯრედები** - საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებულ შიგა გასასვლელის გზა-კიბეები უზრუნველყოფილია წესების **909.20 ქვეთავით** განსაზღვრული კვამლის საკონტროლო სისტემებით, კერძოდ:
   შენობის სიმაღლიდან გამომდინარე, შემოზღუდული შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემით, გამოყენებულია წესების **909.20.1, 909.20.2** ქვეთავით დაგეგმარებული კვამლის მექანიკური კონტროლის მქონე ვესტიბიულები
2. **ლიფტები** - წესების **909.21 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდიანრე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული ყველა ლიფტი აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით, ასევე მიწისქვეშა დონეებზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში **(სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა)** ლიფტები დაგეგმარებულია მექანიკური განიავების მქონე ფოიეებით წესების **713.14.1 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხოლო საპროექტო შენობის მაღლივ ნაწილში განთავსებული სახანძრო სამაშველო დანაყოფის ლიფტებისთვის უზურნველყოფილია წესების **1707.7 ქვეთავით** განსაზღვრული სახანძრო სამსახურისათვის მისადგომი ლიფტის ფოიე, რომელიც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს. საპროექტო შენობაში განთავსებული ყველა კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების **909.19 ქვეთავის** მოთხოვნების სისტემის აღიარებასთან დაკავშირებით.

წესების **906.1 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია**, სწ-2, სქ** და **სვ** ჯგუფის დაკავებულობებში **906 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **912-ე** ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რამდენიმე ადგილას გამოყოფილია ადგილები სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების და ავტოსაშხეფ სისტემებს.

წესების **911 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით საპროექტო შენობის პირველ სართულზე(+/-0.00 ნიშნული) გამოყოფილია ოთახი სახანძრო სამაშველო სამსახურისთვის, რომელიც შეესაბამება წესების **911.1.1-911.1.3 და 403.4.5 ქვეთავის** მოთხოვნებს (ოთახის ფართობია 25,0 კვ.მ).

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ოთახი სახანძრო ტუმბოებისთვის და წლის რეზერვუარისთვის განთავსებულია სახურავზე (+51.50 ნიშნული) სატუმბი დანადგარი და სატუმბი დანადგარის ოთახი უნდა კამაყოფიელბდეს წესების **913 ქვეთავის** ყველა მოთხოვნას.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად .

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(სწ-2, სვ, სქ და სც-2)** განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები **1602.2 ქვეთავისა** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით.

წესების **1602.1 ქვეთავის** მიხედვით **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობას არ მოეთხოვება წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული საცხოვრებელი ერთეულიდან (ბინიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს.

ტუალეტების მდებარეობა აკამყოფილებს წესების **1602.3.2 ქვეთავის** მოთხოვნას და მათთან მისასვლელი სავალი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი წესების **1109.2 ქვეთავის** მიხედვით.

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

- **დასკვნა**

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მ/რ IV, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ს.კ 01.17.07.024.031) არსებულ მიწის ნაკვეთზე (№024/031) მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია შესაბამის ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

შპს „პლანინგ კონსალტინგ გრუპი“

ექსპერტი: ოთარ სულაბერიძე

დირექტორი: დავით იოსელიანი

თარიღი : 04.02.2019

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

07/19-2611 30 01 2012

ცნობა

ოთარ სულაბერიძე 2007 წლის 28 სექტემბრის N012 ა-ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 2011 წლის 19 აგვისტოს N140 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაამთავრა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაცია. დიპლომის გაცემა მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 30 მარტისა.

ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი ნ. ღაღანიძე

საქართველო, 0108 თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 32) 2936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2934 665
22 Griboedov str, 0108 Tbilisi, Georgia, tel: (+995 32) 2936 959, tel/fax: (+995 32) 2934 665, www.artacademy.edu.ge

upf. Universitat Pompeu Fabra Barcelona

The Rector awards this

Master in Metropolis. Master in Architecture and Urban Culture

to

Otar Sulaberidze

having successfully passed the assessment tests foreseen in the corresponding programme and a total of 60 ECTS credits
academic year 2011 - 2013

Barcelona, September 30, 2013

Interested party	Rector	Academic Management	Director General of the Continuing Education Institute Private Foundation

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170682993
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06457649080717

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შენიშვნა: საბუთს დამცავ ფონად გასდევს უნივერსიტეტის ლოგო

უნივერსიტეტის ლოგო

Pompeu Fabra-ს უნივერსიტეტი

ბარსელონა

რექტორი აჯილდოვებს

ოთარ სულაბერიძეს

მეტროპოლისის, არქიტექტურისა და

ქალაქმშენებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით

მან წარმატებით ჩააბარა შეფასების ტესტები (გამოცდები), რომლებიც გათვალისწინებული იყო შესაბამისი პროგრამით და ჯამში 2011-2013 სასწავლო (აკადემიური) წლების განმავლობაში მოიპოვა 60 ECTS კრედიტი.

2013 წლის სექტემბერი, ბარსელონა

დაინტერესებული მხარე

რექტორი ხელმოწერილია

აკადემიური მმართველობა ხელმოწერილია

უწყვეტი განათლების ინსტიტუტის კერძო ფონდის გენერალური დირექტორი ხელმოწერილია

თარჯიმანი: ირმა ჯაფარიძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170683017
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	72191971171417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

20.06.2017 წელს, საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის 68, ნოტარიუსი ციური ბერიძე, ვამოწმებ ჩემთვის ცნობილი თარჯიმნის ირმა ჯაფარიძის (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი № 01011070620, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი »-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

20.06.2017, Georgia, Tbilisi, #68 I. Chavchavadze Ave.I, a notary Tsiuri Beridze, Tbilisi, certify the authenticity of the signature of the translator Irma Japharidze (born 18.03.1969, personal № 01011070620, Certificate Of English Language Learning Centre issued on 2015), who is duly authorized to translate from English into Georgia and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა–2 ლარი და რეგისტრაციის საფასური -2 ლ 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, დღგ-0.36 ლ. სულ გადახდილია: 4.36 ლ.

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution № 507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), - 2 L. and fees for a notary act registration according- 2 L. 39 to paragraph 1 of Article, VAT-0.36, total fees paid: – 4.36 L.

ნოტარიუსი ც. ბერიძე
Notary Tsiuri Beridze

6/20/17, 2:32 PM

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

3/5, G. Tabidze st, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

31.05.2017

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ოთარ სულაბერიძეს (პირადი No 01008047000) მასზედ, რომ 2010 წლიდან დღემდე, ის მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ირენე სკალვინი
შპს "არტსტუდიო-პროექტი"-ს დირექტორი